ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

ფარმაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

დაიშვება მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელი ან მასთან გათანაბრებულ პირი, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია კვალიფიციური, პროფესიული ზრდისა და შემდგომ ეტაპზე სწავლის უნარის მქონე ფარმაცევტი ბაკალავრის მომზადება, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანი თანამედროვე შრომის ბაზარზე.

მისცეს სტუდენტს ფარმაციის ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, ფარმაცევტული პროდუქციის დამზადებისა და წარმოების ტექნოლოგიებს, ხარისხის კონტროლს, შენახვისა და გაცემის წესებს და მოსახლეობის უზრუნველყოფას ხარისხიანი, უსაფრთხო საშუალებებით;

მოამზადოს ისინი თერაპიულ ჯაჭვში: „ექიმი–ფარმაცევტი–პაციენტი“ აქტიური მონაწილეობისათვის, განუვითაროს პროფესიულ წრეებთან და საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარები.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

აღწერს: ფარმაცევტულ პროდუქციას, დამზადებისა და წარმოების ტექნოლოგიებს, მათი სტანდარტიზირებისა და სერტიფიცირების, ხარისხის კონტროლის, შენახვისა და გაცემის წესებს.

განმარტავს: ფარმაცევტული დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურას, მართვისა და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებს; ფარმაცევტული ბიზნესის მარეგულირებელ ძირითად ნორმატიულ დოკუმენტებს.

განიხილავს: ადამიანის ორგანიზმში მოლეკულურ და უჯრედულ დონეზე მიმდინარე ძირითად ბიოქიმიურ პროცესებს; ფარმაციაში დამკვიდრებული თეორიებისა და პრინციპების დაცვის მნიშვნელობას ეფექტური, უვნებელი და ხარისხიანი სამკურნალო საშუალებების დასამზადებლად;

საბუნებისმეტყველო და ფარმაცევტული მეცნიერებების, მათემატიკის ცოდნის საფუძველზე **განახორციელებს** კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

აგროვებს: სამკურნალო ბიოლოგიურ ნედლეულს, ფარმაცევტულ სუბსტანციას, რომელიც გამოიყენება ფარმაცევტული პროდუქტის მომზადებისათვის ან/და წარმოებისათვის.

აფასებს: პრეპარატების კლინიკურ და ღირებულებით ეფექტურობას. სპეკონტროლს დაქვემდებარებული (ფსიქოტროპული, ნარკოტიკული) სამკურნალწამლო საშუალებების აღრიცხვისა და გაცემის რისკს.

იყენებს: თანამედროვე ბიოქიმიური კვლევების და ფარმაკოპეულ მეთოდებს, ფარმაცევტული პროდუქციის დამზადებისა და წარმოების ტექნოლოგიებს, ხარისხის კონტროლის, შენახვისა და გაცემის წესებს.

ანხორციელებს: წამალთა ფორმების კლასიფიკაციას, დაზარალებულთათვის პირველად სამედიცინო დახმარებას, ფარმაცევტულ და ტოქსიკოლოგიურ ანალიზს.

ამოიცნობს და ახდენს იმ პრობლემების ფორმულირებას, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა ჯგუფის მედიკამენტების მოქმედების მექანიზმებთან და სხვა სამკურნალო საშუალებებთან ურთიერთქმედებასთან;

აქვს კომუნიკაცია: მომხმარებლებთან და თანამშრომლებთან როგორც უშუალოდ, ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით -

ქართულ და უცხოურ ენაზე.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა
შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუ ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების პროგრამული ნაწილი შედგება შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისგან. შუალედური შეფასება თავის მხრივ მოიცავს მიმდინარე აქტივობას და შუასემესტრულ გამოცდას.
შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. კერძოდ, შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა არაუმეტეს 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა – არანაკლებ 40.
შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.
დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებ(ებ)ის კომპონენტ(ებ)ში დააგროვა არანაკლებ მინიმალური დადებითი შეფასება სასწავლო კურსის პროგრამის შესაბამისად (ჯამში არანაკლებ 30 ქულა), ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი დოკუმენტური მასალის სახით.
შეფასების სისტემის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე. „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sasw_proc_mart_inst_18.1119_SD.pdf

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით		
№	სასწავლო კურსი	კრედიტი

1	უმაღლესი მათემატიკის საფუძვლები	5
2	ზოგადი ქიმია	5
3	ადამიანის ანატომია	3
4	ბოტანიკა, მცენარეთა მორფოლოგია, ანატომია და ფიზიოლოგია	5
5.1	ინგლისური ენა – 1	**5**
5.2	გერმანული ენა –1	
5.3	ფრანგული ენა –1	
5.4	რუსული ენა - 1	
6	ლათინური ენა და ფარმაცევტული ტერმინოლოგია	3
7	ადამიანის ფიზიოლოგია	4
8.1	ინგლისური ენა -2	5
8.2	გერმანული ენა -2	
8.3	ფრანგული ენა – 2	
8.4	რუსული ენა - 2	
9	არაორგანული ქიმია	6
10	ორგანული ქიმია	6
11	პირველადი სამედიცინო დახმარება	4
12	ზოგადი პათოლოგია	3
13	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	3
14	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი	5
15.1	საქართველოს ისტორია	**3**
15.2	სოციოლოგიის შესავალი	
15.3	ფილოსოფიის საფუძვლები	
15.4	შესავალი ფსიქოლოგიაში	
15.5	ქიმიის ისტორია	
15.6	ქიმია და მედიცინა	
15.7	გარემოს დაცვა და ეკოლოგია	
16	ზოგადი სამედიცინო მიკრობიოლოგია	**5**
17	ანალიზური ქიმია და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები	6
18	ფიზიკური და კოლოიდური ქიმია	6
19.1.	ინგლისური ენა – 3	5
19.2.	გერმანული ენა - 3	
19.3.	ფრანგული ენა - 3	
19.4.	რუსული ენა - 3	
20	კოორდინაციული ქიმია	3
21	ჰიგიენის საფუძვლები ფარმაციაში	5
22.1.	ინგლისური ენა – 4	5
22.2.	გერმანული ენა - 4	
22.3.	ფრანგული ენა - 4	
22.4.	რუსული ენა - 4	

23	ფარმაცევტული ტექნოლოგია I	5
24	ფარმაცევტული ქიმია I	6
25	სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა 1	4
26	ფარმაკოგნოზია I	5
27	ზოგადი ბიოქიმია	5
28	ფარმაცევტული ქიმია II	5
29	სამკურნალო კოსმეტიკური და პარფიუმერული საშუალებების ტექნოლოგია	5
30	ფარმაკოლოგია I	5
31	ტოქსიკოლოგიური ქიმიის საფუძვლები	5
32	ფარმაკოგნოზია II	5
33	სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა	5
34	გალენური პრეპარატების ტექნოლოგია	5
35	ფარმაკოლოგია II	5
36	სოციალური ფარმაცია	5
37	ფარმაცევტული ბიზნესის ორგანიზაცია და ეკონომიკა	5
38	ტოქსიკოლოგიური ქიმია	5
39	სამკურნალო კოსმეტიკური და პარფიუმერული საშუალებების ქიმიური ანალიზი	5
40	ფარმაცევტული ქიმია III	5
41	ფარმაკოთერაპია	5
42	ტოქსიკოლოგია	5
43	ფარმაცევტული ტექნოლოგია II	5
44	ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმია და ექსპერტიზა	5
45	ფარმაცევტული ზრუნვა I	5
46	საბაკალავრო ნაშრომი ფარმაციაში	5
47.	**სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (სტუდენტი ირჩევს 15 კრედიტს)**	
47.1.	ფიტოთერაპია - მცენარეული, არაორგანული და ორგანული ნედლეული	5
47.2.	სამკურნალო საშუალებების მიმოქცევა	
47.3.	ფარმაცევტული წარმოების პროცესები და აპარატები	
47.4.	კერძო სამედიცინო მიკრობიოლოგია	
47.5.	ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია	
47.6.	სამედიცინო კიბერნეტიკა და ფარმაცევტული ინფორმატიკა	
47.7.	ფარმაკოკინეტიკის საფუძვლები	
47.8.	წამალთა ანალიზის უახლესი მეთოდები	
47.9.	ქიმიური ელემენტები ცოცხალი ორგანიზმების ცხოველქმედებაში	
47.10.	ფარმაცევტული ზრუნვა II	
47.11.	ფიტოტოქსიკოლოგიის საფუძვლები	
47.12	ბიოეთიკა, სამედიცინო ფსიქოლოგიის საფუძვლები	
47.13	იმუნოლოგიის საფუძვლები	
48	**თავისუფალი კომპონენტები (სტუდენტი ირჩევს 5 კრედიტს)**	
48.1	ჰომეოპათია და ჰომეოპათიური საშუალებების	

	ტექნოლოგია	5
48.2	ქართული ენის გამოყენებითი სტილისტიკა	
48.3	რელიგიების ისტორია	
48.4	კრიტიკული აზროვნების ელემენტები	
48.5.	ახალი რიტორიკა - საჯარო კამათის ტექნოლოგიები	
48.6	ქვეყანათმცოდნეობა	
48.7	ტურიზმი	
48.8	ნუმიზმატიკა და ბონისტიკა	
48.9	მარკეტინგის საფუძვლები	
48.10	ბიზნეს-ურთიერთობები	